

# რატომ გადაწყდა ქართველებისაგან განსხვავებული ჯიშის ხალხის გამოყვანა და რა ახალი ბრენდი უნდა შეიქმნას ქართული ნაციისაგან

ჟურნალი “თბილისელები” – 5-11 იანვარი, № 1, 2009

**ინტერვიუ ლადო პაპავასთან**

– თუ არსებობს ეკონომიკაში ეროვნული ნიშნით პრიორიტეტები?

– ამ კითხვაზე პასუხი არ არის ადვილი, იმიტომ რომ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, არანაირი ასეთ პრიორიტეტს არ ცნობს. იდეალური ეკონომიკური მოდელია, რომ საბაზრო ეკონომიკამ თვითონ განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები და არა ადამიანმა, რომელიც მთავრობაშია. იმიტომ, რომ თუ კი ჩავთვლით, რომ ადამიანი უფრო ჭკიანია ვიდრე ბაზარი, მაშინ ლოგიკურად მივალთ დირექტიული დაგეგმვის საბჭოურ მოდელთან.

– ერთია, როგორ უნდა იყოს იდეალურ ვარიანტში და, მეორე, როგორ არის რეალურად?

– საქმე ის არის, რომ ეკონომიკის ასეთი იდეალური მოდელი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. ყველა ქვეყანა ცდილობს, თავისი ინტერესები გაატაროს ეკონომიკაში. მეტსაც გეტყვით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია იმისთვის არსებობს, რომ არ იყოს არანაირი პროტექციონიზმი და რაც შეიძლება, მეტად იყოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნებს შორის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უფრო არტიკულაციის დონეზეა, ვიდრე რეალობის. ჩვენ ვიცით ამერიკის შეერთებული შტატების, ეროვნული იდენტობისა თუ იაპონიის მაგალითები, სადაც სახელმწიფო საკმოდ

სერიოზულად ერევა ეკონომიკაში ქვეყნის ინტერესების დასაცავად. აქედან გამომდინარე, როდესაც ვხედავთ, რომ ასეთი სისტემა არსებობს, შენც დგები ასეთი ამოცანის შინაშე: თუ ამერიკელი, ევროპელი და იაპონელი ფიქრობს თავის ქვეყანაზე, ჩვენ რატომ არ უნდა ვიფიქროთ?! ამიტომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა. სხვადასხვა ქვეყანაში არის გარკვეული ტრადიცია, კულტურა, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან, რეგიონთან, რომლებიც წლების, ხშირად საუკუნეების განმავლობაში ამ საქმიანობით ინახავდნენ თავს. ამას შენარჩუნება უნდა და ხანდახან ესა თუ ის წარმოება ეროვნული კულტურის სიმბოლოდაც კი იქცევა ხოლმე, როგორც, მაგალითად, ჩვენთან მევენახეობა-მეღვინეობა. მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური მიდგომით ადამიანმა ის უნდა მოიყვანოს, რაც ეკონომიკური ეფექტის მომცემია.

**– მაგრამ ილია ჭავჭავაძე ამბობდა, პური მხოლოდ იქ არ უნდა ჭამო, სადაც გემრიელიაო.**

– ილია ჭავჭავაძეს აქვს საკმაოდ კარგი ანალიზი თემაზე ხორბლის მოყვანა სჯობია თუ ვაზის გაშენება და დაასკვნის, რაოდენ კარგიც უნდა იყოს ხორბალი, მევენახეობა-მეღვინეობა უფრო მომგებიანი იქნება გრძელვადიან პერიოდში და ამიტომ ქვეყნისთვის უფრო მომგებიანი მევენახეობის განვითარებაა, უფრო იაფი პური კი შეიძლება, იყიდო სხვა ქვეყანაშიო. თანამედროვე ეკონომისტების ენაზე ამას ჰქვია ქვეყნის ფარდობითი უპირატესობა. ამდენად, ფარდობითი უპირატესობით საქართველო კარგი ქვეყანაა ვაზისა და ვენახისთვის, მაგრამ ეს უპირატესობა დაიკარგა საბჭოთა დროს, რადგან აქ გაშენდა ვაზის ისეთი ჯიშები, რომლებიც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ დამზადებულიყო დიდი ოდენობის დაბალფასიანი ღვინო და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ვაზის ძვირფას ჯიშებს. ამდენად, ის უპირატესობა, რომელიც გვაქვს მეღვინეობაში, აუცილებელია, გამაგრებული იყოს სახელმწიფოს მხარდაჭერით იმ თვალსაზრისით, რომ შეიქმნას ისეთი გარემო, როდესაც მევენახეები დაინტერესებული იქნებიან ელიტური ჯიშების გაშენებაში და შემოვლენ ინვესტორები, რომლებიც შემიტანენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

2007 წლის შემოდგომა მხოლოდ 7 ნოემბრის გამო არ ყოფილა ტრაგიკული: „ახალმა მემარჯვენეებმა“ დააყენეს ინიციატივა, საჭირო იყო მხოლოდ ხუთი მილიონი ლარი, რომ რაჭაში როველი წარმატებულად ჩატარებულიყო. მაგრამ ამ ხუთ მილიონზეც კი უარი ითქვა. მას შემდეგ, რაც 7 ნოემბერი მოხდა, ხელისუფლებას გაახსენდა, რომ მევენახეობა პრობლემაა და 2008 წლის როველში სახელმწიფო სუბსიდირების მექანიზმი ამოქმედდა.

**– „რქაწითელის“ აჩევაში სახელმწიფო ფულს იხდის, არარენტაბელურიაო. მართლაც არარენტაბელურია?**

– მევენახეებისგან მსმენია, რომ სწორედ „რქაწითელი“ იყო ის ერთ-ერთი კულტივირებული ყურძნის ჯიში, რომლისგანაც შეიძლებოდა ღვინის მასობრივად დამზადება დიდ რუსეთში მოსახმარებლად.

**– 2 000 ლარი საკმარისია ძველივ ენახის ასაჩეხავად და ახლის გასაშენებლად?**

– ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია: მისასაღმებელია სახელმწიფოს გადაწყვეტილება, რომ ამორტიზებული ვენახები ახლით შეიცვალოს, თუმცა აქ არის გარკვეული საფრთხე: მართლაც გააშენებს გლეხი ახალ ვენახს გაჩეხილის ადგილას? მხოლოდ ამორტიზებული ვენახი გაიჩეხება თუ ნებისმიერი? გაჭირვებაა სოფლად და შესაძლოა, ვინმეს წასცდეს ხელი 2 000 ლარის მისაღებად. ასე რომ, ეს საფრთხეები არის და ამას სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგი დასჭირდება.

**– არ ვიცი, რამდენად ესადაგება განათლებას ეკონომიკური ტერმინი „ფარდობითი უპირატესობა“, მაგრამ ინტელექტი ჩვენი მთავარი სიმდიდრეაო, განათლების მიღება კი კიდევ უფრო ძვირდება. ეს რა შედეგს მოიტანს?**

– სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების სისტემაში გვაქვს სრული კატასტროფა. მართალია, სერიოზული მიღწევაა, რომ საზოგადოებაში გაჩნდა იმის განცდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა კორუფციის გარეშე შესაძლებელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ვკარგავთ უნივერსიტეტებს, როგორც ასეთს. პრაქტიკულად დღეს უმაღლესი განათლება და მეცნიერება ვეღარ თანაარსებობენ; უფრო მეტიც, მეცნიერება, როგორც ასეთი, საერთოდ გაქრა, ხოლო, თუ მეცნიერება არ არის, უმაღლესი განათლება მოიკოჭლებს.

იმ სისტემამ, როდესაც მეცნიერებათა აკადემიას გამოაცალეს სამეცნიერო ინტსიტუტები, ვერ გაამართლა და ხოლო უნივერსიტეტის, როგორც ასეთის, იდეა გაცამტვერებულა, სამეცნიერო დაწესებულებები კი არსებობენ მხოლოდ ფორმალურ დონეზე. მე უფრო უკეთ ვიცი ამ სფეროს და გეტყვით, რა ხდება ეკონომიკურ მეცნიერებაში: საქართველოში თითქმის შეწყვეტილია სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებით და მეცნიერთა ახალი თაობა, პრაქტიკულად, აღარ მოდის.

– მაშინ ვინდა დაგეგმავს ჩვენს ეკონომიკურ პრიორიტეტებს?

– ეს არ არის მხოლოდ ეკონომისტების პრობლემა და ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რამის თავიდან შექმნა იქნება საჭირო, მათ შორის, უნივერსიტეტისაც: ჩვენ დაგვჭირდებიან ახალი მედიქიშიველები, ახალი ჯაგახიშიველები... ჩვენ გვქონდა ცუდი უნივერსიტეტები, მაგრამ ისინი მაინც უნივერსიტეტები იყო, დღეს კი ჩვენ არც კარგი უნივერსიტეტი გვაქვს და არც ცუდი.

**ნინო ხაჩიძე**